საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.01.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 005/23

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ს. გ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. გ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 30 იანვარს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ს. გ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორი დაესწრო 2023 წლის 15 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც მხარი დაუჭირა საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის ადვოკატ ს. გ.-ს დაუკავშირდა 2021 წლის დეკემბრს თვეში. მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ, რომ ს. გ. საადვოკატო მომსახურებას გაუწევდა მ. კ.-ს. კერძოდ, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა კლიენტის უძრავი ქონების გამიჯვნის საქმე. უძრავი ქონება მდებარეობდა ხ. რაიონის სოფელში. კლიენტმა სრულად გადაუხადა ადვოკატს შეთანხმებული ჰონორარი - 500 ლარი. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის და

ადვოკატი ს. გ. არიან თანასოფლელები, კარგად იცნობს ადვოკატის ოჯახს და შესაბამისად, ენდობოდა ადვოკატს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ს. გ.-ს მ. კ.-ის სამოქალაქო საქმეზე სამართლებრივი მოქმედებები არ განუხორციელებია. მ. კ.-ის განმარტებით, 2022 წლის თებერვლის თვეში, საქმეზე ინფორმაციის მიღების მიზნით მან ადვოკატ ს. გ.-ს გაუგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომლის პასუხადაც ადვოკატმა აცნობა, რომ ის მ. კ.-ის საქმეს ხელს არ მოკიდებდა და აღარ სურდა მ. კ.-სთან საქმიანი ურთიერთობა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა უარი განუცხადა ზეპირი შეთანხმებით დაკისრებული მოვალეობების შესრულებასა და გამოუმუშავებელი ავანსის დაბრუნებაზე, რის გამოც ითხოვს ადვოკატის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ს. გ.-მ 2023 წლის 21 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ მ. კ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი, საჩივარში ფაქტობრივი გარემოებები არასწორადაა მითითებული და შესაბამისად, საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. საჩივრის ავტორი დაესწრო 2023 წლის 27 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც დაადასტურა წერილობით განმარტებაში მითითებული გარემოებები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2021 წლის დეკემბერში მას დაუკავშირდა მისი თანასოფლელი მ. კ. და განუმარტა რომ სამართლებრივი დახმარების მიღება სურდა სამოქალაქო საქმეზე, რაზეც ადვოკატმა თანხმობა განაცხადა. მ. კ. ადვოკატს ესტუმრა მის საცხოვრებელ სახლში, სადაც მიიტანა სხვადასხვა დოკუმენტები. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი მასთან დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ცხოვრობდა. დოკუმენტების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მ. კ.-ს დავები ჰქონდა სასამართლოსა და თვითმმართველ ორგანოებთან. მ. კ. საქმეს აწარმოებდა საჯარო რეესტრშიც. ადვოკატის განმარტებით, მან შეისწავლა მ. კ.-ის საქმე; გაუწია მას სამართლებრივი კონსულტაცია და მხარეები შეთანხმდნენ რომ ადვოკატი მ. კ.-ის სახელით შეადგენდა სარჩელს, თუმცა ადვოკატს არ სურდა სხვა სახითაც ჩართულიყო მ. კ.-ის საქმისწარმოებაში, ვინაიდან საჩივრის ავტორს დავები ჰქონდა ადვოკატის სხვა თანასოფლელებთან და ნაცნობებთან. საჩივრის ავტორი დაეთანხმა ადვოკატს და მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ რომ მ. კ. ადვოკატს გადაუხდიდა 500 ლარს, რაც წარმოადგენდა მხოლოდ სამართლებრივი კონსულტაციისა და სარჩელის შედგენის საფასურს. შესაბამისად, მ. კ.-მ ადვოკატს აღარ გაუფორმა მინდობილობა. ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მსგავსი საქმის წარმოებისათვის მის ჰონორარს შეადგენდა 1500 ლარი, თუმცა ვინაიდან მას მხოლოდ სარჩელი უნდა შეედგინა და კონსულტაცია გაეწია კლიენტისათვის შეთანხმდნენ, რომ საადვოკატო მომსახურების საფასური, სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით იქნებოდა 500 ლარი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, 2022 წლის იანვრის დასაწყისში მ. კ.-მ ადვოკატისაგან დამოუკიდებლად მიმართა საჯაო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და შეცვალა გარკვეული მონაცემები სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებთან დაკავშირებით, რამაც გაართულა

საქმისწარმოება. საჩივრის ავტორის ასეთი ქმედებები გამორიცხავდა პარალელურად სასამართლოში საქმისწარმოების წამოწყებას და მ. კ. აღარც საჭიროებდა ადვოკატ ს. გ.-ის იურიდიულ მომსახურებას. აღნიშნული ინფორმაცია საჩივრის ავტორმა თავად აცნობა ადვოკატს და განუმარტა, რომ აღარ სურდა მისგან სამართლებრივი დახმარების მიღება და სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვაც მიზანშეუწონელი იყო.

2.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის დათანხმდა მ. კ.-ს თანხის დაბრუნებაზე, ვინაიდან იცოდა მისი მატერიალური მდგომარეობის შესახებ. ადვოკატის განმარტებით, მან სრული და ამომწურავი კონსულტაცია გაუწია მ. კ.-ს და შეადგინა სარჩელი, შესაბამისად, მას სრულად აქვს შესრულებული ზეპირი შეთანხებით კლიენტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. ადვოკატმა, 2023 წლის 27 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა მის მიერ შედგენილი სარჩელი და განმარტა, რომ მ. კ.-ს თავად უნდა მოეწერა სარჩელზე ხელი, რის შემდეგაც სარჩელით მიმართავდნენ სასამართლოს, თუმცა სატელეფონო საუბრისას კლიენტმა განუმარტა, რომ არ სურდა სარჩელის შეტანა, რადგან სხვა დავას აწარმოებდა საჯარო რეესტრთან.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ს. გ. არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზიცია - საერთო; არასრულლოვანთა მართლმსაჯულება.

3.2 მ. კ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 30 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ს. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ს. გ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მისი საქმე აწარმოა არაკეთილსინდისიერად - არ შეადგინა სარჩელი და არ განახორციელა საპროცესო მოქმედებები; ადვოკატი არ უბრუნებს საადვოკატო მომსახურების გამოუმუშავებელ ავანსს.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ს. გ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი).

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი).

5.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე. საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის გადაწყვეტილებაზე (საქმე №ას-1338-1376-2014), რომლის თანახმადაც „ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრიციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება.“ შესაბამისად, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება კეთილსინდისიერად განახორციელოს წარმომადგენლობა და კლიენტის სასარგებლოდ, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე, გამოიყენოს ის პროფესიული ცოდნა და სპეციალური უნარები, რასაც ადვოკატი ფლობს.

5.4 ჰონორარი წარმოადგენს ადვოკატის გასამრჯელოს, რომლის ოდენობას განსაზღვრავს ადვოკატი, კლიენტთან შეთანხმებით, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში და რომელსაც ადვოკატი გამოიმუშავებს შეთანხმებული მომსახურების შესრულებისას. თუ ადვოკატი წინასწარ იღებს ჰონორარის დანიშნულებით შეთანხმებულ თანხას სრულად ან ნაწილობრივ, მომსახურების გაწევამდე მოცემული ფულადი სახსრები წარმოადგენს კლიენტის ფულად სახსრებს, ავანსს. ადვოკატის პროფესიული ეთიკის დაცვისათვის, ჰონორართან დაკაშირებით, კლიენტთან ურთიერთობის დაწყებისას ადვოკატს აქვს კლიენტის ინფორმირების ვალდებულება მხოლოდ ჰონორარის ოდენობასა და გამოთვლის წესზე, რაც კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტისას მოიცავს ადვოკატის ცოდნას შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ავანსის წინასწარ მიღებისას, რა ოდენობის თანხა გამოიმუშავა. ადვოკატს აქვს ვალდებულება მომსახურების შეწყვეტიდან გონივრულ დროში მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია გამომუშავებული ჰონორარის

ოდენობისა და არსებული ფინანსური საკითხების შესახებ. ადვოკატ-კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტისას, ადვოკატის უფლებამოსილებაა თავად განსაზღვროს ავანსის რა ნაწილი გამოიმუშავა, რაც უნდა ემყარებოდეს შეთანხმებიდან გამომდინარე გონივრულ დასაბუთებას. ამავე დროს, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის და გონივრულ დროში დაუბრუნოს კლიენტს ის თანხა, რომელიც მას არ გამოუმუშავებია. ეთიკის კომისიის კომპეტენციაა შეამოწმოს ადვოკატის კეთილსინდისიერება ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შეუსრულებლოსას.

5.5 ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას მხარეებმა დაადასტურეს, რომ ადვოკატი ს. გ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა მ. კ.-ს, თუმცა მხარეებმა განსხვავებული ახსნა-განმარტებები წარმოადგინეს შეთანხმების ფარგლებზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ, რომ ადვოკატ ს. გ.-ს მ. კ.-ისათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია როგორც სასამართლოში, ისე სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ში და კლიენტის სახელით უნდა განეხორციელებინა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებები. საჩივრის ავტორის განმარტებას არ დაეთანხმა ადვოკატი ს. გ. და განმარტა, რომ მის მოვალეობას მხოლოდ საჩივრის ავტორისათვის კონსულტაციის გაწევა და სარჩელის მომზადება შეადგენდა, რის საფასურადაც განისაზღვრა 500 ლარი. ადვოკატის განმარტებით, სხვადასხვა საპროცესო მოქმედებების განსახორციელებლად ის ბევრად მეტ ანაზღაურებას მოითხოვდა და არა იმ მცირე თანხას, რაც მხოლოდ კონსულტაციისა და სარჩელის მომზადების საფასურს წარმოადგენდა. საჩივრის ავტორის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილია 2021 წლის 24 დეკემბრის სალაროს შემოსავლის ორდერი, რაც ადასტურებს საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისათვის 500 ლარის გადახდის ფაქტს. ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა მის მიერ შედგენილი სარჩელი და საჩივრის ავტორთან 2022 წლის 7 თებერვალს სოციალური ქსელით წარმოებული მიმოწერა, სადაც მხარეები საუბრობენ სასამართლოში სარჩელის წარდგენაზე და მ. კ. წერს ადვოკატ ს. გ.-ს: „წილის გამიჯვნაზე კარგა ხანს ვერ შევიტანთ ს. რეესტრთან დავა მეწყება ზუსტად იმ კოდზე რაც უნდა შეგვეტანა. საწყენი არ იყოს დამიბრუნე თანხა და რეესტრთან როგორც კი მოვრჩებით პრობლემებს მერე შევიტანთ წილის გამიჯვნაზე. ამ ეტაპზე ხელფეხშეკრული ვართ, ეს რა დამმართეს. გამიგე თანხებთანაც არის დაკავშირებული“. საჩივრის ავტორის აღნიშნულ წერილს მოსდევს ადვოკატის პასუხი, სადაც ადვოკატი მიუთითებს რომ თანხას ვერ დაუბრუნებს და ამასთან მისთვის გაუგებარია რატომ უნდა დაუბრუნოს თანხა კლიენტს.

5.6 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, საპროცესო ეტაპზე მტკიცების სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე განხილვის ეტაპზე. საპროცესო ეტაპზე ფაქტების დადგენა არ ხდება, თუმცა დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნაგანმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან

შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

5.7 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარუდგინოს საკუთარი პოზიციის დამდასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ ს. გ.-ის მიერ სადავო ფაქტის ჩადენის ტვირთი, სწორედ საჩივრის ავტორის - მ. კ.-ის სამტკიცებელია.

5.8 ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ადვოკატმა ს. გ.-მ ამომწურავი სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია მ. კ.-ს და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ, სასამართლოში წარსადგენად შეადგინა სარჩელი. ადვოკატმა კლიენტისაგან მიიღო 500 ლარი. განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს, გარდა ახსნა-განმარტებისა ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც კომისიას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნებდა, რომ ადვოკატ ს. გ.-ს კლიენტის საქმე სასამართლოსა და საჯარო რეესტრში უნდა ეწარმოებინა. შესაბამისად, ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას არ დადგინდა ადვოკატის მიერ ზეპირი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ავანსის დაბრუნების თაობაზე და განმარტა, რომ ადვოკატი დამოუკიდებელია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და დამოუკიდებლად განსაზღვრავს მისი სამართლებრივი მომსახურების საფასურს. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ადვოკატმა კლიენტს გაუწია კონსულტაცია; კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ შეადგინა სარჩელი და მ. კ.-ისაგან მიიღო ჰონორარი - 500 ლარი. ადვოკატის განმარტებით მხარეები დამატებით სხვა პირობებზე არ შეთანხმებულან. ვინაიდან, ეთიკის კომისიაში საქმის გამოკვლევისას არ დადგინდა მხარეთა შეთანხმების განსხვავებული ფარგლები და ადვოკატს საჩივრის ავტორისაგან მიღებული არ აქვს სხვა თანხა; ადვოკატის მიერ განხორციელებული სამართლებრივი მოქმედებების გათვალისწინებით, საპროცესო კოლეგია ჰონორარს გამომუშავებულად მიიჩნევს. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ არ არსებობს ადვოკატის მიმართ, კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-15 ნაწილების შესაძლო დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების მე-40 მუხლის პირველი ნაწილით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N005/23 ადვოკატ ს. გ.-ის /სიითი N/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/